დანართი

ადგილობრივი გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1.

საწარმოსთვის (ორგანიზაციისთვის) ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

მუხლი 2.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1,0 პროცენტი.

მუხლი 4.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია ლარებში ერთ ჰექტარზე

1	სახნავი (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე)	60
	საკარმიდამო	60
2	სათიბი (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული)	20
3	საძოვარი (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული)	16
4	ტყის მიწაზე (სასოფლო–სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული)	28

მუხლი 5.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირებისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწები ერთ ჰექტარზე განისაზღვროს 3 (სამი) ლარით.

მუხლი 6.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ლარებში ერთ კვადრატულ მეტრზე

№	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	საბაზისო განაკვეთი (ლარი)	ტერიტორიული კოეფიციენტი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)
1	დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ ერთეულში	0,24	1,0	0,24
2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში	0.24	0.8	0.192
3	კურორტი ბახმარო	0,24	1,5	0,36

მუხლი 7.

1. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

2. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

ა)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 500მ^2 , გარდა კურორტ ბახმაროს (ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორია) ტერიტორიაზე.

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 40 კვ. მეტრს, გარდა კურორტ ბახმაროს (ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორია) ტერიტორიაზე.